# ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
## №2

ქ. ქუთაისი — 6 მარტი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

კონსტანტინე ქავთარაძე – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ირაკლი ავალიანი – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

მალხაზ ბასილაძე – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

ირაკლი გიორგაძე – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით, ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში რუსთაველის გამზირ №3-ში შენობის ნაწილის (ყოფილი არქიტექტურის შენობის) რეაბილიტაციის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი) შესყიდვის შესახებ.

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრის ირაკლი გიორგაძის გამოსვლა იმის თაობაზე, რომ ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში რუსთაველის გამზირ №3-ში შენობის ნაწილის (ყოფილი არქიტექტურის შენობის) რეაბილიტაციის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განცხადება №1493. 02.03.2015 წ.) განსაზღვრულ დროში არცერთი კონკურსანტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. შესაბამისად კონკურსი არ შედგა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: კონტანტინე ქავთარაძემ.
კომისიის წევრმა: მალხაზ ბასილაძემ და ირაკლი ავალიანმა.

დაადგინეს:

1. ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში რუსთაველის გამზირ №3-ში შენობის ნაწილის (ყოფილი არქიტექტურის შენობის) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსი გამოცხადდეს არშემდგარად.

2. დაევალოს საკონკურსო კომისიას მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი – კონკურსი „არ შედგა".

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კონსტანტინე ქავთარაძე

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

მალხაზ ბასილაძე

ირაკლი გიორგაძე